საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბეგალიშვილი ნოდარ ალექსანდრეს ძე

ბეგალიშვილი ნოდარ ალექსანდრეს ძე (დ. 18. VI, 1944, ქუთაისი), გეოფიზიკოსი, ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი (1995), საქართვ. გეოფიზ. კავშირის ვიცე პრეზიდენტი (1992–2000), საქართვ. გეოგრ. საზ-ბის პრეზიდიუმის წევრი(1996-იდან).

1969 დაამთავრა თბილ. სახელმწ. უნ-ტის ფიზიკის ფაკ-ტი თეორიული ფიზიკის სპეციალობით. იმავე წელს მუშაობა დაიწყო ჰიდრომეტეოროლოგიის ინ-ტში, 1979–86 იყო ღრუბელთა ფიზ. და აქტიური ზემოქმედების განყ-ბის ნალექთა რეგულირების ლაბორ. გამგე, 1986–99–დირექტორის მოადგილე სამეცნ. დარგში (ამავე დროს ხელმძღვანელობდა ღრუბელთა ფიზ. განყ-ბას), 1999-იდან – დირექტორი. **ბ.**, ძირითადად, იკვლევდა ატმ. ფიზიკის, ჰიდროლოგიისა და ეკოლოგიის პრობლემათა თეორიული და გამოყენებითი ხასიათის შედეგებს. **ბ**. არის 100-ზე მეტი სამეცნ. ნაშრომის ავტორი, რ-თა ნაწილი გამოქვეყნებულია უცხო ენებზე.

ბ-ს კლიმატთან დაკავშირებული ნაშრომებისათვის მიღებული აქვს საქართვ.ეროვნ. პრემია (2009).